



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

მეორე მსოფლიო ომიდან კიბერომავდა
როგორ მოვიგოთ საინფორმაციო ომი?

თინათინ სილაგული

76

უკრაინის
კრიზისი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

თინათინ სიღაშელი

**მეორე მსოფლიო ომიდან კიბერომამდე
როგორ მოვიგოთ საინფორმაციო ომი?**

76

2017



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9885-7

„ინტერნეტში არავინ იცის რომ ძაღლი ხარ“.

პეტერ სტეინერი, ნიუიორკერი, 1993 წელი



"On the Internet, nobody knows you're a dog."

©The New Yorker Collection 1993 Peter Steiner
From cartoonbank.com. All rights reserved.

„ომი არის ძალადობის აქტი,
აიძულოს მტერი იმოქმედოს შენი ნების
შესაბამისად“.

კარლ კლაუზევიცი
„ომის შესახებ“, 1832

შესავალი

21-ე საუკუნე ინტერნეტდამოკიდებულების ეპოქაა. ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც მოქალაქეები, სახელმწიფოები და კომპანიები საკუთარ საქმიანობას, ფინანსებს და ხშირად პირად ინფორმაციასაც კი ინდივიდუალურად და კოლექტიურად ინტერნეტსივრცის კუთვნილებად აქცევენ.

ინტერნეტმა წაშალა ენობრივი და გეოგრაფიული ბარიერები და მუდმივად მზარდ შესაძლებლობებს გვთავაზობს. თითქმის არ არსებობს ინფორმაცია, რომელიც წამის მეთხუთმედში თქვენს ხელთ არ იქნება. სწორედ მისი დამსახურებით, ინტერნეტის შემთხვევაში, მეცნიერების მიღწევები და სიახლეები ყველასთვის და სრულად ხელმისაწვდომი ხდება.

ინტერნეტი მეტი თავისუფლების, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ადამიანის მძიმე შრომის შემსუბუქებისა და იდეების თავისუფალი გავრცელებისთვის გამოიგონეს. ადამიანებმა, ვისაც კონტინენტებს შორის სიახლეებისა და იდეების სწრაფი მიმოსვლა ჰქონდათ განზრახული, ფიზიკური და გეოგრაფიული ბარიერების შემცირებაზე დაიწყეს ფიქრი და ასე მოვედით განვითარების დღევანდელ ნიშნულამდე.

თუმცა ისტორია განმეორდა. მეცნიერული მიღწევები, როგორც წესი, ერთდროულად ხვდებოდა სიკეთის და ბოროტების სამსახურში, აშენებდა და ანგრევდა. ინტერნეტიც სწორედ ამგვარი პოტენციალის აღმოჩნდა. შეუზღუდავი და ხელმისაწვდომი კიბერსივრცის უსასრულო შესაძლებლობები, რიგ შემთხვევებში, მართული ბოროტების სამსახურში მოექცა და ინტერნეტპროგრესმა სრულიად ახალი რეალობა შექმნა: შეტევები საბანკო სექტორზე, ბიზნესზე, ინტერნეტსივრცის შანტაჟისა და მანიპულაციისთვის გამოყენება.

თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ მსოფლიოში კიბერშეტევების პოლიტიკური ბრძოლის, ხოლო ინტერნეტის ჰიბრიდული ომის იარაღად გამოყენება დომინანტი ტენდენცია გახდა და არა მხოლოდ ინტერნეტინდუსტრიის, არამედ მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ თავსატეხად იქცა.

აშშ საპრეზიდენტო არჩევნების გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა, მიმდინარე გამოძიების შუალედურმა ანგარიშებმა და პრეზიდენტ ტრამპის განცხადებებმა საკუთარი ქვეყნის სპეც-სამსახურების საქმიანობის შესახებ¹ აბსოლუტურად გადაფარა ყველა მანამდე არსებული შემთხვევა და მაგალითი. ეს აღარ არის კიბერშეტევა საქართველოზე ან უკრაინაზე, არც შეტევის მოლოდინი პოლონეთის ან ბალტიის სახელმწიფოებში. ეს ამერიკის შეერთებული შტატები და მისი საპრეზიდენტო არჩევნებია, სადაც რუსეთი სწორედ ინტერნეტმანიპულაციების, საინფორმაციო-პროპაგანდისტული ინსტრუმენტებისა და კიბერშეტევების გზით, აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის საიდუმლო ანგარიშის მიხედვით², შეეცადა კონკრეტულ კანდიდატს გამარჯვებაში დახმარებოდა.

საფრთხეები და ცვალებადი რეალობა განსაზღვრავს ჩვენს მოლოდინსა და ამოცანებს. შესაბამისად, ახლებურად განისაზღვრა ამოცანები კიბერინდუსტრიის მიმართ: 1) მეტი ტექნიკური უსაფრთხოება და 2) ინტერნეტსივრცის კვლავ მისი მთავარი დანიშნულების – თავისუფლების სამსახურში დაბრუნება.

წინამდებარე ნაშრომის ამოცანაც სწორედ ჰიბრიდული ომის დროს ინტერნეტის გამოყენების ანალიზი, გამოსავლის ძიების მცდელობა და სტრატეგიის ალტერნატივის შეთავაზებაა. თქვენ წაიკითხავთ ომის მომზადების, მასობრივი საინფორმაციო კამპანიების, პროპაგანდის და ფსიქოლოგიური ოპერაციების დროს ინტერნეტის გამოყენების შესახებ.

ჩვენი ამოცანაა გავაანალიზოთ თანამედროვე ტენდენციები და ვიპოვოთ ალტერნატივა ორი მთავარი მიზნის მისაღწევად:

1. დავიცვათ სახელმწიფო მოსალოდნელი აგრესიისგან;
2. შევინარჩუნოთ საკუთარი მოსახლეობის ლოიალობა და ერთიანობა მასობრივი საინფორმაციო ომის პირობებში.

ინფორმაცია მაღალი საფრთხის მატარებელ იარაღად იქცა. ის იაფი და უნივერსალურია, დაფარვის შეუზღუდავი არიალი აქვს, უკონტროლოდ მოგზაურობს, ხშირად უხარისხო და ტყუილზე დაფუძნებული, ნებართვის გარეშე კვეთს სახელმწიფოთა საზღვრებს და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

1. რატომ საინფორმაციო ომი?

საინფორმაციო ომი იაფია და ასიმეტრიული, იმავდროულად ეფექტურია, როგორც მშვიდობის, ასევე ცხელი ომის დროს.³ მონინალმდეგის მთავარი ინსტრუმენტი ყოვლისმომცველი, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებებია, რომელსაც ვერ ხედავ, რომლის მონალმდეგაც ვერ იყენებ შენს საბრძოლო უპირატესობას. ის არ ანგრევს შენობებს, არ აწყობს ეთნიკურ წმენდას ან გენოციდს, არ ანადგურებს ქალაქებს, ის ხანგრძლივი დაკვირვების და ანალიზის შედეგად მომზადებული სპეციფიკური ფსიქოლოგიური ოპერაციებით მოქმედებს.

საინფორმაციო ომის ეფექტურობა და წარმატება ძირითადად რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობის შედეგია:

- მონინალმდეგე ბუნდოვან პოლიტიკურ ფუნდამენტზე დგას და ბოლომდე ჩამოუყალიბებელი პოლიტიკური სისტემა და ღირებულებები აქვს;
- ჰიბრიდული ომის ინიციატორი ახერხებს მონინალმდეგის ინსტიტუციურ წყობასა და ღირებულებით საწყისს ბზარი გაუჩინოს;
- საზოგადოებაში დისკუსია იწყება ისეთ თემებზე, რომლებიც მრავალი საუკუნის წინ შეთანხმებული და დასრულებული გეგონა;
- სიმართლე და ტყუილი, რეალობა და ილუზია ერთმანეთშია არეული და ზღვარის გავლება შეუძლებელია;
- შესუსტებულია კრიტიკული აზროვნება, საზოგადოება მოკლებულია რაციონალური ფიქრის და ანალიზის საშუალებას, ვინაიდან კითხვებზე პასუხად და ალტერნატივად მუდმივად სამხედრო აგრესიის და მის მიერ გამოწვეული უმძიმესი შედეგების სურათებს და ემოციურ რეალობას სთავაზობენ.

ჰიბრიდული ომი დიდწილად ნიშნავს მოწინააღმდეგის რესურსების, სისუსტეების, მგრძნობიარე და მყიფე მხარეების მის წინააღმდეგ გამოყენებას. ის ეჭვს აჩენს ფუნდამენტური ღირებულებებისა და ინსტიტუციური წესრიგის მიმართ და შესაბამისად, შიგნიდან ანგრევს.

ამოცანა კიდევ უფრო მარტივდება, თუკი მეორე მხარეს ღარიბი, დიდწილად მშვიერი, გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაა, სადაც მოსახლეობა სახელმწიფოს მშენებლობის, ინსტიტუციური განვითარების, ღირებულებითი ფუნდამენტის პრაქტიკულად არც ერთ მნიშვნელოვან საყრდენზე ბოლომდე შეთანხმებული არ არის, სადაც პოლიტიკური ელიტა სუსტია, ხოლო სოციალურ-კულტურული ელიტის ავტორიტეტი – არარსებული.

2. საინფორმაციო ომის ეტაპები

21-ე საუკუნეში მშვიდობასა და ომს შორის საზღვრები მორღეველი და გადღაბნილია. ომს აღარ აქვს დაწყების თარიღი და მისი გამოცხადება აღარ ხდება წინასწარ დადგენილი წესების მიხედვით. ცხელი ომის ფაზას, თუკი მისი საჭიროება დადგება, წინ უძღვის ხანგრძლივი და სისტემური საინფორმაციო ომი. ეს უკანასკნელი კი ძირითადად ორეტაპიანია:

- **ა. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური პერიოდი**, რომელიც საინფორმაციო კონკურენციის პირობებში მუდმივად და უწყვეტად მიმდინარეობს, როდესაც ზემოქმედებ შეიარაღებულ ძალებზე, მოსახლეობაზე, ელიტებზე;
- **ბ. საინფორმაციო-ტექნოლოგიური პერიოდი**, რომლის აქტივიზაციაც საომარი მოქმედებების ცხელი ფაზის დაწყების დროს ხდება. ამ დროს იღებ, აგროვებ, ქმნი, ამუშავებ და გადასცემ ინფორმაციას კონკრეტული ამოცანების მისაღწევად, მათ შორის, უკანონო მეთოდებით.

საინფორმაციო ომის ეტაპების სრულფასოვანი წარმართვის, პროცესის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ფორმები და საშუალებები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

- ფსიქოლოგიური ოპერაციები და ფსიქოლოგიური ზეწოლა;

- სტრატეგიული კომუნიკაცია ზუსტად შერჩეულ ჯგუფებთან, კონკრეტულად მათთვის შერჩეულ და მორგებულ თემებზე;
- გავლენის მოპოვება;
- შენიღბვა, ე.წ. „მასკიროვკა“;
- მასირებული დეზინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის ყველა ფორმის გამოყენებით;
- „მტრის“ სოციალური სივრცის შებრუნება, ტროლები;
- კომპიუტერული სისტემების განადგურება, ვირუსები;
- დაზვერვა/კონტრდაზვერვა;

უმნიშვნელოვანესია გვახსოვდეს, რომ შედეგი ერთჯერადი ქმედებებით არ მიიღწევა. სისტემა წლების მანძილზე უნდა მოქმედებდეს უწყვეტად და მთავარი ამოცანის სამსახურში. საინფორმაციო პროდუქტი მრავალწლიანი მუშაობით იქმნება სპეცსამსახურების მიერ იდენტიფიცირებულ მგრძნობიარე თემებზე ზუსტად შერჩეული ჯგუფებისთვის. ყოველი კონკრეტული ინფორმაცია ფსიქოლოგიური ოპერაციისათვის არის გამიზნული და ადამიანებზე ზეგავლენის ამოცანა აქვს. მისი გავრცელება სპეცსამსახურების მიერ კონტროლირებადი ყველა ელექტრონული მედიაარესურსის გამოყენებით ხდება. ამასთანავე უმნიშვნელოვანესია, რომ საინფორმაციო პროდუქტი დასავლურ მედიას მიეწოდებოდეს მათთვის სანდო, კარგად შენიღბული, წყაროებიდან, რაც ინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფს და შესაბამისად, სიმრავლისა და სანდოობის ეფექტს ქმნის. ბუნებრივია, პარალელურად ის ვირუსულადაც ვრცელდება კიბერსივრცეში და ჩვენი საინფორმაციო რეალობის ნაწილი ხდება. ეს სწორედ ის ეტაპია, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი უკვე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ზეგავლენის ქვეშ არის, შესაბამისად, ტყუილი და მართალი ერთმანეთში ირევა და შეუძლებელი ხდება რეალობა განვასხვავოთ ფიქციისგან ან მორალურად სწორი-არასწორისგან, როდესაც ვინცებთ ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერესების საწინააღმდეგო გადანწყვეტილებების მიღებას.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ წარმატებისთვის მხოლოდ ტექნოლოგიური უზრუნველყოფა საკმარისი არ არის. აუცილებელია სხვადასხვა ტრიბუნიდან და აუდიტორიიდან დიპლომატების, პოლიტიკოსების, ექსპერტების, ანალიტიკოსების, აკადემიური და კულტურული ელიტის ქმედითი მხარდაჭერა. მთავარი ამოცანა

მესიჯის დისციპლინის შენარჩუნებაა. ყველა მსგავსი ინტერვენცია ერთიანი, ნათელი, ადვილად გასაგები გზავნილის მატარებელი უნდა იყოს, თუმცა შესაბამისი კონტექსტის, ტრიბუნის და აუდიტორიის შესაფერისი.

საინფორმაციო ომის აქტიური ფაზის დროს უმნიშვნელოვანესია:

1. **„მტრის ხატის“ სრულყოფილება.** ასეთი კი შეიძლება იყოს ნატო, ვაშინგტონი ან მათი მარიონეტი ადგილობრივი ხელისუფლება;
2. **საფრთხის იმაზე მეტად წარმოჩენა, ვიდრე ის რეალურად არსებობს და მისი თანმდევი შედეგების პანიკური შიშის დანერგვა.** შესაბამისად, დგება ორჭოფობის ეტაპი: „თუ მაინც უნდა წავაგოთ, ღირს კი გარისკვად?“;
3. **მოწინააღმდეგის უძლეველობის რწმენა;** როდესაც მიუხედავად ბოროტების სწორად აღქმისა, მაინც დათმობას ამჯობინებ, ვინაიდან სულ გახსოვს, მოწამლული ხარ მოწინააღმდეგის უძლეველობით და ომის შედეგების სურათები გაშინებს.

თუკი ზემოთ მითითებული მოქმედების გეგმა თავის მიზანს ვერ აღწევს, არსენალში ყოველთვის არსებობს უფრო მეტი შესაძლებლობა. კიევში მაიდანის მოვლენების დროს, მიუხედავად საინფორმაციო ომის პრაქტიკულად ყველა ეტაპის შესრულებისა, უფრო მეტი სრულყოფილებისთვის რუსეთმა სხვა დამატებითი საშუალებებიც ჩართო: 1) პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული საბოტაჟი; 2) პროვოკაციები როგორც თავად პროტესტის ადგილზე, ისე სხვაგან, უკრაინაში; 3) დიპლომატიური ომი; 4) ფიზიკური დაპირისპირება ორ ბანაკს შორის. ამოცანა ნათელი იყო – ზენოლა უკრაინის ხელისუფლებაზე, რათა გადაეხვია არჩეული გზიდან და დაჰყოლოდა რუსულ პოლიტიკურ კონიუნქტურას – უკრაინა განუსაზღვრელი დროით კვლავ რუსულ ორბიტაზე, მისი გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

კიევსა და კიშინიოვში ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების დინამიკით საინფორმაციო ომთან გამკლავების ქრესტომათიული მაგალითები შეიქმნა. უკრაინამ სრულიად ნათლად აჩვენა, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, პოლიტიკური კლასის მზადყოფნისა და საზოგადოების ერთიანობის პირობებში, მოწინააღმდეგე საბოლოო შედეგს და, შესაბამისად, წარმატებას ვერ აღწევს.

3. საინფორმაციო ომის შინაარსი და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება

საინფორმაციო ომს შინაარსი და ზუსტად შერჩეული სამიზნე ჯგუფები სჭირდება. ადამიანებით მანიპულირება ყველა დროსა და ეპოქაში განსაკუთრებით იოლად კულტურით, ყალბი პატრიოტიზმით, „ეროვნული ფასეულობებით“ ხდებოდა. შინაარსიც, რიგ შემთხვევებში, პატრიოტულ-პათეტიკურია, სხვა შემთხვევებში კი – ძალიან პერსონიფიცირებული, კონკრეტული ადამიანების ისტორიებით გაჯერებული. ის მუდამ ფოტო და ვიდეო მასალით არის გამყარებული, მეტი დამაჯერებლობის და დრამატულობისთვის.⁴ ამოცანა მარტივია: ის შენ გეხება, შენს შესახებ არის, შენს ემოციას და გრძნობებს ეხმიანება.

შესაბამისად, სპეცსამსახურების ერთ-ერთი ფუნქციაც სწორედ ერის კოლექტიური და ინდივიდუალური სისუსტეების შესწავლაა. როგორც წესი, საინფორმაციო ომის დროს სისტემური და სისტემატიური შეტევა ხორციელდება:

- ✓ მოსახლეობის კულტურულ ქცევებზე,
- ✓ „პატრიოტიზმის“ ნარატივზე,
- ✓ ნოსტალგიებზე,
- ✓ ტაბუებსა და სტერეოტიპებზე,
- ✓ პარტნიორების მხრიდან გარისკვის მასშტაბზე,
- ✓ საერთაშორისო მხარდაჭერის შესაძლებლობებზე.

მაგალითად, უკრაინაში აგრესიის დაწყებამდე მოსკოვში ზუსტად იცოდნენ, რომ დასავლეთი პასუხისთვის მზად არ იყო, საინფორმაციო ომი ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციით არ იყო გათვალისწინებული. კიბერშეტევები მეხუთე მუხლის ამოქმედებას არ იწვევდა. ამიტომ რუსეთი თამამად მოქმედებდა ესტონეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ნატოს წევრ ქვეყნებში. არ უნდა დაგვაზიწყდეს, რომ კიბერშეტევის ზომის, ძალისა და მნიშვნელობის მიუხედავად, ნატოს წევრები დღესაც ვერ თანხმდებიან მისთვის სახელის დარქმევაზე, კიბერომის ან საინფორმაციო ომის განმარტებაზე. ტერმინების აღრევა კი პრობლემის სრულად დანახვას უშლის ხელს, შესაბამისად, რეაგირებაც არაადეკვატური ან დაგვიანებულია. ომს თუკი სხვა სახელს დავარქმევთ, შესაბამისი იქნება ჩვენი პასუხიც, რაც მოწინააღმდეგეს მყისიერად ანიჭებს უპირატესობას.

დასავლეთი უკრაინაში არც სამხედრო მოქმედებებისთვის იყო მზად. მოსკოვში იცოდნენ, რომ მათ მოქმედებებს წინააღმდეგობა მოჰყვებოდა ევროკავშირის, ნატოსა და აშშ-ის მხრიდან, მაგრამ ასევე იცოდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ სტრატეგია, არ ჰქონდათ საკმარისი სადაზვერვო ინფორმაცია და სამართლებრივი არგუმენტები საჭირო სწრაფი პასუხისა და რეალური ძალის დემონსტრირებისთვის. მოსკოვმა საქართველოსთან 2008 წლის ომის დროს დიდი გამოცდილება შეიძინა. კრემლში დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ უკრაინულ ავანტიურაზე პასუხიც არ იქნებოდა განსხვავებული. ეს კი უნიკალურ პირობებს ქმნიდა რუსეთისთვის. შესაბამისად, პრეზიდენტმა პუტინმა გამოიყენა შესაძლებლობა. ზუსტად გათვალა, რომ ყველაზე ცუდ შემთხვევაში მასობრივი, მასშტაბური და ყოვლისმომცველი საინფორმაციო კამპანიით დროსა და ბრძოლის პირველ ეტაპს მოიგებდა, რაც სამხედრო შეტევისთვის უპირატესობას მისცემდა. შედეგად, პირველი რიგის ამოცანა, შეეჩერებინა უკრაინის სწრაფი პროგრესი ევროპული ინტეგრაციის გზაზე, მიღწეულია. გადანყვეტილებები, რომლებიც შესაძლებელი იყო ორი-სამი წლის წინ მიეღოთ, დღეს დგას ევროპული სტრუქტურების დღის წესრიგში.

რაც შეეხება სტერეოტიპულ პატრიოტიზმს, პრეზიდენტ პუტინის 2014 წლის მიმართვა რუსი დიპლომატებისთვის, შესაძლოა, საუკეთესო მაგალითად გამოდგეს: **„ჩვენ ვერ დავუშვებთ ნატოს ძალების ყირიმისა და სევასტოპოლის – რუსული სამხედრო დიდების მიწაზე შემოსვლას, რაც რადიკალურად შეცვლის ბალანსს შავ ზღვაზე. ეს ნიშნავს, ხელი ავიღოთ ყველაფერზე, რისთვისაც რუსეთი იბრძოდა პეტრე პირველის და, შესაძლოა, კიდევ უფრო შორეული დროიდან“.**⁵

განცხადება იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ერთ აბზაცში ყველაფერია ნათქვამი.

- ის იცავს რუსი ერის ისტორიულ მონაპოვარს, პეტრე პირველის მემკვიდრეობას, რომელსაც ეცილებიან;
- მტრის ხატი სახეზეა, ნატოს ძალები მათ მიწაზე შემოსვლას ლამობენ;
- ის არწმუნებს რუს დედას, რომ მისი შვილი „დიადი რუსეთის“ იდეისთვის იბრძვის ყირიმში, ხოლო სამშობლოს ხანდახან თავ-განწირვა სჭირდება;

- ის ღირსეული და ერთადერთი ლიდერია, რომელიც იმის შენარჩუნებისთვის იბრძვის, რაც ისტორიულად მისია, არავის არაფერს ეცილება;
- ის ძლიერია, საკუთარ ძალებში დარწმუნებული და იმუქრება, რომ არ დაუშვებს შავ ზღვაზე ბალანსის შეცვლას;
- ალბათობა, რომ პრეზიდენტ პუტინის გამოსვლას მსოფლიო მედია აიტაცებს, მაღალია, შესაბამისად – მისი პროპაგანდისტული გზავნილების ტირაჟირება მსოფლიო წამყვანი მედიასაშუალებით უზრუნველყოფილი.

ამგვარი შინაარსი *პოპულარულია, პატრიოტულია, აღვიძებს სენტიმენტებს, რომელიც ღარიბი და დიდნილად გაუნათლებელი მოსახლეობისთვის საუკეთესო ალტერნატივაა არარსებული „პურის“ პირობებში*. ამბავი რუსული მონაპოვრის გადარჩენის შესახებ ძვირად ფასობს რუსეთში და საშუალო რუსისთვის საკმარისი მიზეზია, რომ შეილი ყირიმში საომრად გაუშვას.

როდესაც წარმატებულ იდეას და მის გარშემო მიმდინარე საინფორმაციო კამპანიას თან ახლავს ზუსტად გათვლილი მოქმედების სტრატეგია, რომელიც პარტნიორების სისუსტეს მის სასარგებლოდ იყენებს, პირველი შედეგები გარანტირებულია. ერთადერთი, რაც ასეთ დროს შეიძლება სასარგებლო და ეფექტური საპირწონე აღმოჩნდეს, მსგავსი მტკიცე და ფუნდამენტური იდეით გაერთიანებული საზოგადოებაა ბრძოლის ველის მეორე მხარეს, რომელიც საკუთარ ძალებსა და სიმართლეში დარწმუნებულია და, შესაბამისად, მას ვერ გატეხს და ეჭვს ვერ გაუჩენს მტრის პროპაგანდა.

4. როგორ მოვიგოთ საინფორმაციო ომი?

ამ კითხვაზე ყველაზე სწორი, მოკლე და მარტივი პასუხია მოვიქცეთ ზუსტად ისე, როგორც მოწინააღმდეგე იქცევა. გამოვიყენოთ იგივე ტექნოლოგიური საშუალებები, ტრიბუნა, ვასწავლოთ ჩვენს ლიდერებს ტყუილის სტრატეგიული კომუნიკაცია, უარი ვთქვათ მორალურ კანონებზე და ვმართოთ პრინციპით – „მიზანი ამართლებს საშუალებას“ და სხვა.

ასეთ დროს მაშინვე ჩნდება კითხვა: სწორია ასეთი მიდგომა თუ არა? მოგვიტანს სასურველ შედეგს თუ არა? ხომ არ ვემსგავსებით მოწინააღმდეგეს? სწორედ ეს ხომ არ არის მისი

ამოცანაც, თავის რელსებზე გადაგვიყვანოს, ჩვენი მორალი დაანგრიოს, მისი ცხოვრების და მმართველობის წესი ჩვეულებრივ ამაბად გვიქცეოს?

ამ შემთხვევაში მთავარი „პრობლემა“ დემოკრატიული სახელმწიფოს ბუნება და ინსტიტუციური წყობაა. სიტყვის თავისუფლება და გამჭვირვალე მმართველობა თავისთავად გამორიცხავს სახელმწიფოში კონტროლირებული ერთიანი გზავნილის არსებობას და მის შესაბამისად დადგენილ წესრიგს. ყოველთვის იარსებებს პირობითი *“New York Times”*, რომელიც დასვამს კითხვებს, ამხელს პროპაგანდას და ტყუილს, ჩაატარებს ჟურნალისტურ გამოძიებას, გამოიწვევს დისკუსიას. დემოკრატიული სახელმწიფო თავისი არსით გამორიცხავს სპეცსამსახურების შანტაჟის და მანიპულაციისთვის გამოყენებას. დემოკრატიული სახელმწიფო ინფორმირებული მოქალაქეების ერთობაა, სადაც გადაწყვეტილებები სწორედ ერთიანი საზოგადოებრივი კონსენსუსით მიიღება და მმართველებს მუდმივი კონტაქტი აქვთ ამომრჩევლებთან. შესაბამისად, დემოკრატიულ სამყაროს საინფორმაციო ომის მოგებისთვის სხვა სტრატეგია და ტაქტიკური ოპერაციები სჭირდება.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე საინფორმაციო ომზე მარტივი დაკვირვება აჩვენებს, რომ პროპაგანდისტული ომის წარმოებისას სრულიად საწყისი პირობაა, რომ არ ვეძებთ სიმართლეს. ვეძებთ, ვქმნით, ვიგონებთ ისტორიებს, რომლებიც ყველაზე მარტივად გაიყიდება, რომლებიც ადვილად დასაჯერებელია და მიზანს ამართლებს. დემოკრატიული ქვეყნების სტრატეგია კი საპირისპირო, მხოლოდ სიმართლეზე და ფაქტებზე დაფუძნებული მოქმედებების ერთობლიობა შეიძლება იყოს.

ხშირად დასმულ კითხვაზე, როგორ მოვიგოთ საინფორმაციო ომი, **ერთადერთი სწორი პასუხი იმ ღირებულებების, ინსტიტუციური ფუნდამენტის და სახელმწიფო წყობის გაძლიერებაა, რის გამოც მიმდინარეობს თანამედროვე ჰიბრიდული ომი.** ყველაზე ეფექტური იარაღი სწორედ ის არის, რისიც ყველაზე მეტად ეშინია ტოტალიტარულ, აგრესიულ ქვეყანას: **მის საზღვრებთან ჯერ კიდევ გადარჩენილი დემოკრატიების და დემოკრატიული რეალის გაძლიერება.**

ომის მიზანს ლიბერალური დემოკრატიის რღვევა,
ინსტიტუციური დემოკრატიის შესუსტება, დასავლეთის
ღირებულებითი სისტემისა და მორალისთვის გარდამტეხი
დარტყმის მიყენება წარმოადგენს.

5. ქართული სახელმწიფოს დილემა და ამოცანები

ბოლოს როდის ნახეთ მასალა რუსეთზე ქართულ ტელე-სივრცეში? არა მის ძლევამოსილებაზე გარეთ, არამედ შიდა ამბებზე? როდის გაშუქდა ჩვენს მედიაში რუსეთის ჩვეულებრივი ამბები, რიგითი რუსების გაჭირვების შესახებ, სიღარიბეზე, რუბლის დე-ვალვაციაზე, ვითარებაზე რუსულ ციხეში, მკვლელობებზე რუსეთის ქალაქების ქუჩებში, რუსეთში მცხოვრები ქართველების პრობლემებზე და სხვა? ბოლოს როდის მისცა ქართულმა მედიამ შესაძლებლობა მის მაყურებელს დაფიქრებულიყო თანამედროვე რუსული რეალობის შესახებ? განსაკუთრებით კი, იმ მაყურებელს, ვინც კვლავაც სამოცდაათიანების სიმშვიდეს მისტირის და ის რუსეთში ეგულება?

პირიქით, ქართული მედიასივრცე გაჯერებულია ამბებით **რუსეთის უძლეველობის შესახებ**. ამბებით, რომელიც მოდის პირდაპირ ბრძოლის ველიდან – სირიიდან, უკრაინიდან, მოლდოვიდან, დღეს უკვე აშშ-დან და ევროკავშირიდან. ეს არის ამბები იმის შესახებ, რომ რუსეთი აგრესიულია, ოკუპანტია, მაგრამ საკუთარ ინტერესებს იცავს და ვერავინ ერევა, ვერავინ უწევს წინააღმდეგობას, ყველა იძულებულია დაუთმოს.

დღეს ჩვენ სწორედ იმ ვითარებაში ვართ, როდესაც, როგორც რუსეთის სტრატეგიული კომუნიკაციის მიზნები იუნყება, ტყუილი და მართალი ერთმანეთშია არეული და ადამიანების დიდ უმრავლესობას მათი გარჩევის, რაციონალური განსჯის უნარი დაკარგული აქვს. როდესაც პროპაგანდა დიდი ნაკადებით მოედინება და შენც ალტერნატიული, საიმედო საინფორმაციო ნაკადების მიღების კვალობაზე ემორჩილები დომინანტ ტენდენციებს.

ამ ნაშრომში სხვადასხვა თავში აღწერილი საინფორმაციო ომის პრაქტიკულად ყველა მახასიათებელი მრავალი წელია წარმატებით მუშაობს საქართველოში. წარმატების მთავარი მიზეზი კი არა იმდენად რუსული კამპანიის სრულფასოვნებაა, არამედ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს

ყველა ხელისუფლების უუნარობა, რუსულ პროპაგანდას ქმედითი, სტრატეგიული პოლიტიკა დაუპირისპიროს საკუთარი მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია მათი კომპლექსური, სისტემური და გრძელვადიანი მოგვარებისთვის.

საქართველო, მისი მახასიათებლების მიხედვით, სახელმძღვანელოებში სამაგალითოდ განსახილველი ქვეყანაა:

1. ღარიბი;
2. გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანა;
3. სადაც მოსახლეობა სახელმწიფოს ინსტიტუციური მშენებლობის და ღირებულებითი ფუნდამენტის პრაქტიკულად არც ერთ მნიშვნელოვან საყრდენზე საბოლოოდ შეთანხმებული არ არის;
4. სადაც პოლიტიკური ელიტა სუსტია;
5. სადაც სოციალურ-კულტურული ელიტის ავტორიტეტი უბრალოდ არ არსებობს;
6. სადაც ომის საშინელება უმრავლესობას თავად აქვს გამოვლილი;
7. სადაც მონინალმდევე მათრახის და თაფლაკვერის პოლიტიკით ეფექტურად მოქმედებს;
8. სადაც ქართული პროდუქტისთვის რუსული ბაზრის გახსნა უაპელაციოდ გვიხარია, ხოლო ევროკავშირის ბაზარს არ ვიმჩნევთ;
9. სადაც ერთმორწმუნეობა ისევ იყიდება, მიუხედავად ათობით გადამწვარი და დაბომბილი ეკლესია-მონასტრისა;
10. სადაც თითქმის არაფერი იციან თანამედროვე რუსეთის შესახებ, სამაგიეროდ იციან, რომ მას ვერავინ ერევა და ყველაფერი „ანტი-კულტურული“ და „ემმაკისეული“ დასავლეთიდან შემოგვეპარა;
11. სადაც მოსახლეობის 30 პროცენტს არა მხოლოდ წარმოდგენია რუსეთთან ერთად, არამედ მზად არის მოსკოვთან კეთილმეზობლობისთვის ევროკავშირისა და ნატოს სანაცვლოდ.⁶

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მოცემულობებისა, რომელშიც ვცხოვრობთ და გვინევს მოქმედება. ჩვენი სისუსტეები და ქართულ საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული სტერეოტიპები მონინალმდევის შეტევისთვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ამ ომში გამარჯვებას კი ჯერ პრობლემების ზუსტი იდენტიფიცირება სჭირდება, შემდეგ ამ პრობლემების არსებობის აღიარება, ყოველ-

გვარი სტერეოტიპების და დოგმებისგან გათავისუფლება და სისტემური, თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება ჩვენივე სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

ქართული სახელმწიფოს მთავარი ამოცანა სიყალბის თავს მოხვევის არდაშვება უნდა იყოს. ჩვენი მთავარი იარაღი სიმართლეა და მისი ტირაჟირებისთვის სრული ძალისხმევა გემართებს, ყველა აქტორის მონაწილეობით და ყველა ტექნოლოგიური საშუალების გამოყენებით. ჩვენი მიდგომა სისტემურობასა და მდგრადობას უნდა ეფუძნებოდეს. ჩვენი მთავარი ამოცანა არა მტრის მიერ შექმნილ ნარატივთან ბრძოლა, არამედ საქართველოს მოქალაქეების პრაქტიკული ცოდნით, მართალი ინფორმაციით, ფაქტებით შეიარაღებაა, რაც ადამიანს საკუთარი ძალების რწმენას მატებს და შედეგად, პროპაგანდის გავლენის ქვეშ ნაკლებად ექცევა. პროცესი კი დაახლოებით რომ წარმოვიდგინოთ, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებიდან არის დასაწყები და პოლიტიკური გადანყვებილებით სრულდება. ის ყოვლისმომცველია და გრძელვადიან შედეგზეა გათვლილი.

ჩვენი მთავარი ამოცანა ჩვენივე სისუსტეების, საბჭოთა იდეოლოგიის მიერ თავსმოხვეული ყალბი სტერეოტიპებისა და დოგმების დამარცხებაა. საბჭოთა მოქალაქე უნდა მოვკლათ ჩვენში, ვინაიდან მხოლოდ დემოკრატიული, სუვერენული ქვეყნის იდეის გარშემო გაერთიანებულ თავისუფალი ადამიანების ერთობას შეუძლია მოიგოს ომი.

6. ომის მოგება – იდეა, რომელიც გვაერთიანებს

საქართველოს ომი ჯერ კიდევ შინ აქვს მოსაგები. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა და ხელისუფლება ერთ მხარეს დგანან. პრეზიდენტ პუტინის „ყირიმული“ პატრიოტიზმი პოპულარულია. რუსეთის ამოცანა მარტივია, ის მხოლოდ გარეთ იბრძვის. ჩვენი მთავარი დილემა ქვეყნის შიგნით არის. საქართველოში რუსული ნარატივი და საბჭოთა პატრიოტიზმი ჯერ კიდევ დასამარცხებელია.

დღეს ქართველების ერთი ნაწილისთვის კეთილმეზობლობა ერთმნიშვნელოვნად სწორედ მის კეთილდღეობასთან ან, პირობითად, გარანტირებულად გაყიდულ ვენახსა და მანდარინთან ასოცირდება, რაც სუვერენიტეტის აღდგენა-განმტკიცების უაღ-

ტერნატივობისთვის აღარ ტოვებს ადგილს. ცალსახაა, რომ რუსეთისთვის საქართველოს მოსახლეობის სიღარიბე მანიპულირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. შესაბამისად, პირველი სამიზნეც გამოკვეთილია. სწორედ ასე შეგვიძლია გავყვეთ სისუსტეების გრძელ სიას, რომელიც ზემოთ არის მოცემული და ჩვენი სამოქმედო გეგმაც სახეზეა.

აღსანიშნავია, რომ საბოლოო წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესია ვიპოვოთ იდეა, ამოცანა, რომელიც გვაერთიანებს, რომლის გადარჩენისთვის ბრძოლაც ყველასთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და ძვირფასია. იდეა, რომელიც ჩვენს მტერზე ძლიერია. იდეა და ამოცანა, რომლის ერთგულების პროცესშიც ჩვენი განსაკუთრებულობა, ეროვნული სიამაყე, ერთმანეთისადმი სოლიდარობა, თანადგომა და კიდევ ძალიან ბევრი სხვა კარგი თვისება საუკეთესოდ წარმოჩნდება და გაგვაძლიერებს. ამ პროცესში დავიბრუნებთ საკუთარი ძალების რწმენას, საკუთარი თავის და ერთმანეთის პატივისცემას, თამამად გავაღოთ ბრძოლის ველზე ერთად და ერთმანეთის იმედად.

სწორედ ასეთი იდეა სჭირდება სახელმწიფოს, არა – ხელისუფლებას, არამედ – სახელმწიფოს. იდეა, რომელიც, მიუხედავად ადამიანური და ფინანსური რესურსების სიმწირისა, ჩვენს ძალებში გვარწმუნებს, ერის გამაერთიანებელი იქნება და ომს მოიგებს.

უმნიშვნელოვანესია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წლის შემდეგ მაინც საერთო ეროვნული შეთანხმება იმაზე, თუ:

1. როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ;
2. ვინ არიან ამ გზაზე ჩვენი მეგობრები და პარტნიორები;
3. ვისთან გვაქვს ომი და რატომ;
4. რა ღირებულებებს და მორალს ეფუძნება თანამედროვე ქართული სახელმწიფო.

უმნიშვნელოვანესია რომ ომს, რომელიც მთელ ჩვენს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ქცევას გასდევს თან, სახელი დავარქვათ, სუბიექტები გამოვკვეთოთ, ორიენტირები გავაჩინოთ. დავინახოთ, რომ ეს ერთი ომია, ერთი უწყვეტი ციკლი, რომელიც სხვადასხვა ეპიზოდისგან შედგება. ის ადამიანებს ითხოვს მსხვერპლად, ტერიტორიებს გვაკარგვინებს, მაგრამ მისი ამოცანა გაცილებით უფრო მასშტაბურია – უარი გვათქმევინოს სუვერენიტეტზე, არჩევანის თავისუფლებაზე, ის ისევ უკან, საბჭოთა კავშირისკენ, გვიბიძგებს.

შენიშვნები

1. "Trump trusts Putin more than CIA" the press www.pressreader.com ; www.pressreader.com/similar/281925952646821 ; "Trump raises trust questions with spy feud" by www.edition.cnn.com/2017/01/04/politics/donald-trump-cia-intelligence-russia-assange/
2. Secret CIA assessment says Russia was trying to help Trump win White House, By Adam Entous, Ellen Nakashima and Greg Miller, December 9, 2016 www.washingtonpost.com/world/national-security/obama-orders-review-of-russian-hacking-during-presidential-campaign/2016/12/09/31d6b300-be2a-11e6-94ac-3d324840106c_story.html?utm_term=.25ce8defc724 ; CIA concludes Russia interfered to help Trump win election, say reports, www.theguardian.com/us-news/2016/dec/10/cia-concludes-russia-interfered-to-help-trump-win-election-report
3. ვლადიმერ პუტინმა რუსეთის დუმისადმი 2006 წლის მიმართებაში განაცხადა: „ჩვენი პასუხი უნდა დაეფუძნოს ინტელექტუალურ უპირატესობას, ის იქნება **ასიმეტრიული** და **იაფი**. თანამედროვე რუსეთს სჭირდება არმია, შემძლე ადეკვატურად უპასუხოს ყველა თანამედროვე საფრთხეს“. *President Vladimir Putin, Annual Address to the Federal Assembly, May 10, 2006, Marble Hall, the Kremlin, Moscow* www.en.kremlin.ru/events/president/transcripts/23577
4. პროპაგანდის ომის დღევანდელი სისტემა ცივი ომის დროიდან იღებს სათავეს. საბჭოთა კავშირისთვის პროპაგანდა მართვის მთავარი ინსტრუმენტი იყო. შერჩეულ ფაქტულტეტებზე სპეციალური კურსი ისწავლებოდა „სპეცპროპაგანდა“. მას საბჭოები იყენებდნენ როგორც საკუთარი მოსახლეობის კეთილგანწყობის შენარჩუნების, ასევე სსრკ-ის საზღვრებს გარეთ ყალბი ინფორმაციის გავრცელების მეთოდოლოგიური სწავლებისთვის. ისტორიამ წარმატებული საბჭოთა პროპაგანდისტული ოპერაციების მრავალი მაგალითი შემოგვინახა. თავად საბჭოთა კავშირიც 70 წლის მანძილზე დიდწილად სწორად მართული პროპაგანდის მანქანის დამსახურებით შენარჩუნდა, როდესაც „თავბრუდახვეულ“ საბჭოთა მოქალაქეს გულწრფელად სჯეროდა, რომ რკინის ფარდის მეორე მხარეს ადამიანებს რუტინულად აწამებდნენ, იქ შიმშილი და სიბნელე იყო. მაშინ პროპაგანდის მთავარი ამოცანა კომუნიზმის იდეოლოგიურ ალტერნატივად გაყიდვა იყო. დროთა განმავლობაში ამოცანა და მიზანი შეიცვალა, თუმცა მოქმედების ტაქტიკა ძირითადად იგივე დარჩა.
5. პრეზიდენტმა პუტინმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის ელჩებისა და მუდმივი წარმომადგენლების კონფერენციაში, „რუსეთის ეროვნული ინტერესებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფუნდამენტური პრინციპების დაცვა და განმტკიცება“, მოსკოვი, 2014 წლის 1 ივლისი, www.en.kremlin.ru/events/president/news/46131
6. საქართველოს მოსახლეობის თითქმის მესამედი (31%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, თუ უარს იტყვის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე რუსეთთან უფრო კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბების სანაცვლოდ. www.tabula.ge/ge/story/116425-ndi-54-sprodasavlur-sagareo-politikastan-ertad-rusetan-kargi-urtiertoba-surs

დამატებითი საკითხავი:

1. OSCE Non-Paper “Propaganda and Freedom of the Media”, Vienna, 2015
2. Marius Laurinavičius, “Is Russia Winning the information War in Lithuania?,” Center for European Policy Analysis, 2016
3. Internet Trolling as a Tool of Hybrid Warfare: The Case of Latvia; by NATO Stratcom, 2016
4. Max Holland, “The Propagation and Power of Communist” Security Services Dezinformatiya,” by International Journal of Intelligence and Counterintelligence 19, no. 1, 2006
5. “Russian Hybrid Warfare and Other Dark Arts,” War on the Rocks. March 11. 2016.
6. Dr. Damien Van Puyvelde, “Hybrid Warfare: Does It Even Exist?” by NATO Review, 2015.
7. Peter Pindják, “Deterring hybrid warfare: a chance for NATO and the EU to work together?” by NATO Review, November 18, 2014.
8. The Military Doctrine of the Russian Federation, approved by the president on December 25, 2014. See “The Military Doctrine of the Russian Federation,” Theatrum Belli, June 29, 2015
9. Kingsepp, Eric J., Propaganda as an Instrument of Statecraft: Two Case Studies (April 25, 2008). Propaganda as an Instrument of Statecraft, 2008.
10. Waxman, Matthew C., Cyber-Attacks and the Use of Force: Back to the Future of Article 2(4) (March 16, 2011). Yale Journal of International Law, Vol. 36, 2011.
11. Shackelford, Scott, From Nuclear War to Net War: Analogizing Cyber Attacks in International Law (April 28, 2009). Berkley Journal of International Law (BJIL), Vol. 25, No. 3, 2009.
12. Waxman, Matthew C., Self-Defensive Force Against Cyber Attacks: Legal, Strategic and Political Dimensions (March 19, 2013). International Law Studies, Vol. 89, 2013.
13. Maszkiewicz, Mariusz, Civilian Based Defense System: New Approach – Polish, Lithuanian and Ukrainian Experience (March 8, 2015).
14. Blank, Laurie R., Chapter 7: Media Warfare, Propaganda and the Law of War (May 11, 2016). Soft War: The Ethics of Unarmed Conflict, 2016; Emory Legal Studies Research Paper No. 16-418.